

**წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და
ქვეპროგრამების შესახებ**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (30 00)

მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა - თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა

განმახორციელებელი - შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 06	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	88701	100744,1	100651,4	100%	
30 06 01	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება	88242,1	99672,4	99671,8	100%	
30 06 01	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება <i>(ფულადი გრანტი)</i>		78,6	78,5	100%	
30 06 02	მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	458,9	464,5	463,1	100%	6472,5
30 06 02	მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა <i>(ფულადი გრანტი)</i>		528,6	438	83%	

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

1. ღონისძიების დასახელება: ინციდენტებზე /საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება და მათი პრევენცია

1.1 ინციდენტებზე /საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება და რეაგირების ხარისხის გაუმჯობესება

- საანგარიშო პერიოდში 69 696 ბუნებრივ, ტექნოგენურ და სხვა საგანგებო სიტუაციაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება, მათ შორის იყო ხანძრები/ავეთექებები/ავეთექების საფრთხეები, ავარიები ქიმიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით ან გაჟონვის საშიშროებით,

ავარიები ელექტრო-ენერგეტიკულ სისტემებში, შენობების/ნაგებობების/ქანების მოულოდნელი ჩამოქცევა, სახიფათო გეოფიზიკური და გეოლოგიური მოვლენები, სამთო და წყალზე სამაშველო ღონისძიებები და სხვა;

- ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციებზე დროული რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომში პროექტის „მოხალისე“ ფარგლებში სოფლის "მოხალისეებს" გადაეცათ სპეციალური უნიფორმები და სახანძრო ავტო-ცისტერნა, შესაბამისი აღჭურვილობით;
- ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციებზე დროული რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მუნიციპალიტეტების მიერ საგანგებო მართვის გეგმების მოსამზადებლად სამსახურის მოსამსახურეების მიერ 6 მუნიციპალიტეტში 2 ეტაპად გაიმართა 40 მდე საკონსულტაციო შეხვედრა. ასევე, ამ მიმართულებით სამსახურის მიერ შეთანხმებულ იქნა 25 საგანმანათლებლო დაწესებულების საგანგებო მართვის გეგმა;
- ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით, შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ზედამხედველობის განხორციელების პირობები და პროცედურები, ამასთან გათვალისწინებულ იქნა ელექტრონული რეესტრის არსებობის შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტაციის წარმოების პროცესის მოქნილობას;
- მეხანძრე-მაშველთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმების სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა შესაბამისადაც სამსახურში შეიქმნება მეხანძრე-მაშველთა სპეციალური სასწავლო ცენტრი;
- გაძლიერდა ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტი, კერძოდ ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ იარაღს ან მის კომპონენტებს მიკუთვნებული ნივთიერებებისა და მოწყობილობების აღმოჩენა, მათ შესახებ მონაცემების შეგროვება, დამუშავება/ანალიზი, ასევე ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ ნივთიერებებისა და მოწყობილობების აღმოჩენის ადგილის დაცვა და მათი დამაზიანებელი ფაქტორების თავიდან ასაცილებლად სამინისტროს შესაბამის დანაყოფებთან ან სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად კოორდინირებული ღონისძიებების გატარება;
- შიდა ქართლისა და აჭარის ა/რ ტერიტორიული დანაყოფების მოსამსახურეებს სამსახურის ფსიქოლოგის მიერ ჩაუტარდათ ტრენინგ-შეხვედრები, რომელი მიზნად ისახავდა ცნობიერების ამაღლებას სუიციდის პრევენციის ხელშეწყობისთვის;
- სამსახურის ფსიქოლოგმა განახორციელა ვიზიტი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ფსიქოგანათლება/ცნობიერების ამაღლება და კონკრეტული სტრესული სახანძრო-სამაშველო მოქმედების (დუშეთი, ანანურის მიმდებარედ - ავტოსაგზაო შემთხვევა) განხილვა/გაანალიზება და მასთან დაკავშირებული დისფუნქციური აზრების და ტრიგერების გადამუშავება;
- ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი ეფექტიანად აღმოფხვრის მიზნით, სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის ზოგიერთი დანაყოფის მოსამსახურეებს სამსახურის ძალებით ჩაუტარდათ უპილოტო საფრენი აპარატის (დრონი) მართვის საბაზისო-სასწავლო კურსი და მართვის პრაქტიკული ვარჯიში;
- ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციებზე დროული რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა სამსახურის სამეგრელო-ზემო სვანეთისა და კახეთის დანაყოფების პორტატული და საბაზისო რადიოსადგურის არხების დაპროგრამება-გამართვა, ასევე, თბილისის დანაყოფებში არსებული საკომუნიკაციო ქსელის სისტემებს ჩაუტარდათ სადიაგნოსტიკო-პროფილაქტიკური სამუშაოები;
- ევროკომისიის პროექტის („სამოქალაქო დაცვის სისტემის გაძლიერება მოხალისეთა შესაძლებლობების გაძლიერების გზით“) ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ერთობლივი მოხალისეებისთვის შეიქმნა უნიფორმის მოდელი. ასევე, მხარეებს შორის ხელმოწერილი თანამშრომლობის მოდელის დოკუმენტის შესაბამისად, ავსტრიის წითელი ჯვრის მიერ მოწოდებული გზამკვლევის მიხედვით, შემუშავდა მოხალისეების გადასამზადებელი სასწავლო პროგრამა და სიმულაციური ვარჯიშის სცენარი. პარტნიორებთან და სამსახურის ფარგლებში გამართული სამუშაო შეხვედრების შედეგად, ჩატარდა მოხალისეთა ტრენინგი;
- ცნობიერების ამაღლების კუთხით და ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით, სამსახურის მოსამსახურეების კოორდინაციით:

- ნატო-საქართველოს ინიციატივის (SNGP CM) ფარგლებში, ქ. სენაკში ჩატარდა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისთვის რეზერვისტთა მომზადება. ტრენინგი მოიცავდა ერთობლივი სიმულაციური სავსე სწავლებებსაც;
- ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის კრიზისების მართვის ინიციატივის (SNGP CM) ფარგლებში, ონის მუნიციპალიტეტში ჩატარდა სწავლება „რაჭა 2022“;
- აშშ-ს საელჩოს რეგიონალური უსაფრთხოების სამსახურის მომართვის საფუძველზე, ამერიკის საელჩოს პერსონალისთვის ჩატარდა დაგეგმილი სასწავლო ვარჯიები;
- ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ჩატარდა სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება;
- 10 საგანმანათლებლო დაწესებულებას ჩაუტარდა თეორიული და სიმულაციური სწავლებები;
- აშშ თავდაცვის თანამშრომლობის ოფისთან (US ODC) თანამშრომლობის ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში ჩატარდა წყალზე სამაშველო პრაქტიკული სწავლება;
- ინციდენტებისა და საგანგებო სიტუაციების პრევენცია/დროული რეაგირების მიზნით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, მარცვლეული კულტურის მოსავლის აღების პერიოდში, ხანძრების გაჩენისა და გავრცელების საშიშროების აღმოფხვრის მიზნით, შირაქის ზონაში, წინასწარ განსაზღვრულ ლოკაციებზე მოეწყო სავსე შტაბი, შესაბამისი ძალებისა და საშუალებების მობილიზებით;
- 2022 წლის საზღვაო სეზონისათვის მზადების პროცესში, განხორციელდა წინა პერიოდში ამ მიმართულებით გამოყენებული კავშირგაბმულობის საშუალებების (საბაზო და ხელის რადიოსადგურები) და ხმამაღლა მოლაპარაკე მოწყობილობების მდგომარეობის მოკვლევა-შესწავლა;
- სამსახურის მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს PPRD East 3 პროგრამის ფარგლებში გამართულ სემინარებში, რომლის მთავარი მიზანი პარტნიორ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, ასევე, რისკების მართვის პრაქტიკის და საუკეთესო გამოცდილების ერთმანეთისთვის გაზიარებაა;
- სამსახურის მოსამსახურეებს, USA DTRA ორგანიზებით, ჩაუტარდათ CR KIT ახალი აღჭურვილობის ტრენინგი, ტრენინგის მიზანი იყო მონაწილეები გაცნობოდნენ CR KIT ახალი აღჭურვილობის შესახებ ინფორმაციას;
- ავსტრიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, დაბა გუდაურში, ავსტრიელი ინსტრუქტორების მიერ სამსახურის მოსამსახურეებს ჩაუტარდათ სწავლება სათხილამურო ტრასებზე უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის და ზვავსაშიშ ზონებში სამაშველო ოპერაციების ჩატარების მიმართულებით;
- პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ორგანიზებულ სამთო სწავლებებში მონაწილეობა მიიღო სამსახურის ზოგიერთმა მოსამსახურემ;
- საანგარიშო პერიოდში სამსახურის მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობებში, კერძოდ:
 - ნატოს თანამედროვე სტანდარტებისა და პროცედურების გაცნობის მიზნით გერმანიაში, ქალაქ ობერამერგაუში ნატოს ორგანიზებით ჩატარებულ ნატოს კრიზისების მართვის კურსში;
 - ბელორუსიაში, კერძოდ მინსკში, ბელორუსიის საგანგებო სიტუაციების მართვის უწყების ორგანიზებით გამართულ მაშველთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებაში;
 - გერმანიაში, კერძოდ ქალაქ ობერამერგაუში ქბრბ ანალიზის ოპერატორების კურსში;
 - ესტონეთში, ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის (UCPM) ექსპერტთა მიერ ჩატარებულ თოკზე სამაშველო საკითხებზე ტრენინგში;
 - ბულგარეთში, ნატო-ს ორგანიზებით გამართულ "კრიზისის მართვისა და კატასტროფაზე რეაგირების კურსში", რომლის მიზანს წარმოადგენდა მონაწილეებისთვის ნატოს საბაზისო მოთხოვნების მიხედვით, ნატოს კრიზისზე რეაგირების საფუძვლების, სისტემის (NCRS), პროცესისა (NCRP) და სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების დაგეგმვის შესახებ ინფორმაციის გაცნობა და ცნობიერების ამაღლება;
 - შვედეთში, ევროკავშირის ორგანიზებით გამართულ მოდელირებული სავარჯიშო EU MODEX-ის დამგეგმარებელი შეხვედრაში;
 - აშშ-ს თავდაცვის საფრთხეების შემცირების (DTRA) სააგენტოს მიერ ჩატარებულ სწავლებებში, კერძოდ: „ქბრბ ახალი აღჭურვილობის შესახებ“, „ქიმიური მასობრივი განადგურების აგენტების გამოვლენა, იდენტიფიკაცია და მათი განეიტრალების საშუალებები“ და „ქბრბ დაზვერვის და მასობრივი დეკონტამინაციის აღჭურვილობის გამოყენების შესახებ“;

- ინტერპოლის ეგიდით გამართულ საერთაშორისო სწავლების „სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოება“ დამაგეგმარებელ შეხვედრაში;
 - სანაპირო დაცვის მიმართულებით საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის (JMOC) ორგანიზებით გამართულ მრავალ უწყებრივი სწავლების „JMOC TTX 2022“ ჩატარების შესახებ შეხვედრაში;
 - ევროკავშირის UCPM-ის ექსპერტთა გაცვლის პროგრამის ფარგლებში ავსტრიის რესპუბლიკაში ჩატარებული სამთო და წყალზე სამაშველო საკითხებზე სწავლებაში;
 - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაში კერძოდ ნატოს სკოლაში ობერამერგაუმი (NSO) ჩატარებულ სასწავლო კურსში თემაზე: ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული თავდაცვის ნატოს ოპერაციები და სავარჯიშები;
 - სამსახურსა და პოლონეთის სახელმწიფო სახანძრო სამსახურს შორის ერთობლივი პროექტის "სამაშველო ერთეულების ქსელის ანალიზი და განვითარება საქართველოში კრიზისების მართვის მიმართულებით" ფარგლებში, ქ. ვარშავაში, პოლონეთის სახანძრო და სამაშველო სტრუქტურის გაცნობის, საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება/დანერგვისა და სამომავლო პროექტების დასაგეგმად გამართულ ღონისძიებებში;
 - ტიროლში (ავსტრიის რესპუბლიკა), ავსტრიული სახანძრო და სამაშველო სისტემის გაცნობისა და ერთობლივი სწავლებებისა და პროექტების დაგეგმვის ღონისძიებებში;
 - თურქეთის კოორდინაციის სააგენტოსთან (TIKA) თანამშროლობის ფორმატში, ე.წ "ტრენერთა ტრენინგის ჩატარებაში" და "მეხანძრე-მაშველთა საბაზისო სწავლებაში";
 - აზერბაიჯანში და სომხეთში PPRD East 3-ის და ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების ერთიანი მექანიზმის საბაზისო კურსში;
 - ერევანში სომხეთის რესპუბლიკაში UCPM საბაზისო კურსში;
- საზღვაო სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, ოპერატიული და გამართული რადიოკავშირის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა მთლიან სანაპირო ზოლზე სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტში Mototurbo ტიპის რეპიტერის შემოწმება, სამუშაო სიხშირეების ჩაწერა, Motorola CM-160 ტიპის საბაზო რადიოსადგურისა და Motorola MOTOTURBO ტიპის რეპიტერის დამონტაჟება, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ხმამაღლა მოლაპარაკე მოწყობილობების დინამიკების შემოწმება/შეკეთება;
 - ოპერატიული მართვის სამმართველოს ქოლცენტრის „ცენტრი-1“ შენობაში, ინტერნეტ და სატელეფონო ქსელის ოპერატიული, უწყვეტი კავშირის მუშაობისთვის მოეწყო საკომუნიკაციო ქსელის სარეზერვო ხაზი “Back up” და სასერვერო ოთახში დამატებით დამონტაჟდა საკომუნიკაციო ქსელის მოწყობილობა;

1.2 ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების გამომწვევ ფაქტორების პრევენცია

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით განხორციელებულია 5010 აქტივობა (მათ შორის ობიექტების შემოწმება), კერძოდ:

- საანგარიშო პერიოდში სახანძრო-ტექნიკური შემოწმება ჩაუტარდა 2165 ობიექტს:
 - დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება ჩაუტარდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ 1063 ობიექტს;
 - მიზნობრივი სახანძრო-ტექნიკური შემოწმება (გამოკვლევა) ჩაუტარდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ 479 ობიექტს;
 - საკონტროლო სახანძრო-ტექნიკური შემოწმება (გამოკვლევა) ჩაუტარდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ 148 ობიექტს;
 - სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობა (შეუსაბამობა) დაუდგინდა 218 ობიექტს;
 - ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდა განხორციელდა 232 ობიექტზე;
 - შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება სახანძრო უსაფრთხოების ზომების მომზადების მიზნით განხორციელდა 25 ობიექტზე;
- საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით სამსახურის მიერ მომზადდა და გაიგზავნა 1999 კორესპონდენცია:

- მიწის ნაკვეთზე შენობის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ (პირველი სტადიის) შემოსული დაპროექტების დოკუმენტების განხილვის შედეგად მომზადდა და გაიგზავნა 545 რეკომენდაცია;
 - შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე (მეორე სტადია) შემოსული დაპროექტების დოკუმენტაციის განხილვის შედეგად მომზადდა და გაიგზავნა 1022 რეკომენდაცია, მათ შორის არქიტექტურული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე დადებითი პასუხი გაეცა 190 დაპროექტების დოკუმენტზე;
 - სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების თაობაზე მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისგან შემოსულ წერილებზე მომზადებული იქნა 165 საპასუხო წერილი;
 - სამსახურის სისტემაში შემოსულ 267 დაპროექტების დოკუმენტაციაზე მომზადდა შენიშვნა-წინადადებები, მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე დადებითი პასუხი გაეცა 125 დაპროექტების დოკუმენტზე;
- სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით მოქმედი ცხელი ხაზის საშუალებით მიმდინარეობდა შეხვედრების ორგანიზება და კონსულტაციების გაწევა დაინტერესებული პირებისათვის/ორგანიზაციებისათვის. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 527 ზარი. ასევე, გაიმართა 329 საკონსულტაციო შეხვედრა;

საანგარიშო პერიოდში, ასევე, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით, ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების გამომწვევ ფაქტორების პრევენციის მიზნით, სამსახურის მიერ განხილულ იქნა დარგობრივი საკანონმდებლო აქტები და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები;

1.3 გაეროს საერთაშორისო საძიებო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის INSARAG-ის კლასიფიკაციის მიღება

- გაეროს საერთაშორისო საძიებო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის INSARAG-ის კლასიფიკაციის მიღების მიზნით, შექმნილია ურბანული საძიებო სამაშველო ჯგუფი (USAR), რომელსაც მენტორობას უწევს გერმანიის ტექნიკური დახმარების ფედერალური სამსახური (THW). საანგარიშო პერიოდში მენტორმა ჩაატარა შემდეგი სწავლებები:
 - სტანდარტული პროცედურების შემუშავების შესახებ, რომელშიც სამსახურის მხრიდან 17 თანამშრომელი დაესწრო. სწავლება დაეთმო ისეთ საკითხებს როგორცაა SOP-ების განვითარება USAR-ის გუნდთან ერთად და ასევე განხორციელდა USAR სასწავლო პროგრამის განახლება;
 - EXCON სწავლება, რომელიც დაეთმო INSARAG კოორდინაციისა და მენეჯმენტის სისტემის მიმოხილვას მეკავშირე ოფიცრების დონეზე, ასევე, სამუშაო ტერიტორიის მოწყობას და სტანდარტულ ოპერატიულ პროცედურების შემუშავებას;
 - ვესელში (გერმანია) გერმანიის მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროს ტექნიკური დახმარების ფედერალური სააგენტოს (THW) მიერ ჩატარდა INSARAG-ის პირველი მორეაგირების სწავლება;
- INSAGAR-ის კლასიფიკაციის მიღების მიზნით, ევროკავშირის პროგრამა "SAFE" ფარგლებში, განხორციელდა სპეციალური სამაშველო აღჭურვილობების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის გადაცემა;

2. ღონისძიების დასახელება: ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებების ელექტრონული სისტემების შექმნა

- სტრატეგიული დაგეგმვისა და ტექნოლოგიური განვითარების დეპარტამენტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველოს პროგრამისტების მიერ შემუშავებულია სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემა (eFss). საანგარიშო პერიოდში, გამოსწორდა გამოვლენილი ხარვეზები და მოთხოვნების შესაბამისად, სისტემას დაემატა შემდეგი ფუნქციონალი:
 - ობიექტების შემოწმების წლიური გეგმის რედაქტირება;
 - ძველი მიწერილობების დაკავშირება ობიექტებთან;

- წაშლის ფუნქციონალის დამატება;
 - არაიდენტიფიცირებული ობიექტების ამოღება და მისი დაკავშირება;
 - ძველი მიწერილობების დაკავშირება ობიექტებთან;
 - შესრულებული მიწერილობების/შესაბამისობის რეპორტის ამოღების მოდული;
 - განკარგულებების რეპორტი pdf ფორმატში;
 - მონაცემთა ბაზაში დამატებითი ფილტრების და ვალიდაციების დამატება მოთხოვნის შესაბამისად;
 - საკონტროლო შემოწმების ფორმის განახლება;
 - საკონტროლო შემოწმების ფორმის ტესტირება;
 - არაიდენტიფიცირებული ობიექტების ამოღება და მისი დაკავშირება;
 - ძველი მიწერილობების დაკავშირება ობიექტებთან;
 - გამოცდის აქტის ფორმის შემუშავება და რეალიზება;
 - ავტომატური განახლება ობიექტების მიზნობრივ/დეტალური/საკონტროლო შემოწმებებისას;
 - ობიექტების განახლება სერვისის საშუალებით;
 - კომპანიების განახლების ფუნქციონალის დამატება;
 - სისტემის გამოცდის ფორმის დამატება;
 - სახანძრო ტექნიკური შემოწმების ჩატარების და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების აქტის ფორმის დამატება;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სამუშაოები სატესტო რეჟიმში გაშვებული საგანგებო სიტუაციების/ინციდენტების აღრიცხვის სისტემის (eFris) ფუნქციონალის განვითარება და აღმოჩენილი ხარვეზების შესწორება. სისტემა დაემატა ახალი ფუნქციონალი:
 - ინციდენტების მოდული - ხანძრის ფორმის დამატება;
 - ლოჯისტიკის მოდული - მონაცემების განახლება/ჩასწორება, ასევე შენიშვნების და შეცდომების გამოსწორება;
 - შემუშავდა და გაიშვა ოპერატორების მონიტორინგის მოდული, მიმდინარეობს პერიოდული განახლება და ოპერატორების მონიტორინგის პანელის შექმნა;
 - ინციდენტების მენეჯმენტში ხმოვანი სიგნალის ჩართვისა და საგზურის ბეჭდვის ფუნქციის დამატება;
 - საბრძოლო გათვლის ონლაინ შესავსები ფორმის შემუშავება (მიმდინარე);
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ინტერაქტიულ რუკის (maps.es.gov.ge) ფუნქციონალის დახვეწა/განვითარების სამუშაოები. რუკას დაემატა:
 - ახალი ლეირების (შრეები) დატანა;
 - მანქანების მენეჯმენტი efris.es.gov.ge -დან;
 - შემუშავდა საძიებო-სამაშველო ღონისძიებების მართვა/ მონიტორინგის ინსტრუმენტი;
 - Widget-ები, კერძოდ: ამინდი, კარუსელი და კალენდარი;
 - რუკაზე განახლდა მონაცემები დაგასწორდა ბაგები;
- შემუშავდა და სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებს სამსახურის ახალი ვებ-გვერდები:
 - გახდი ინსტრუქტორი - <http://instructor.es.gov.ge>
 - გახდი მენტორი - <http://mentor.es.gov.ge>

3. ღონისძიების დასახელება: განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა

3.1 განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

- ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციების დროს შემთხვევის ადგილზე მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადაში გამოცხადების მიზნით, შესყიდულ იქნა და შესაბამის სატრანსპორტო საშუალებებზე დამაგრდა ციმციმები და ხმამალა მოლაპარაკებები;
- სახანძრო საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებისას გამოსაყენებლად შეძენილ იქნა სამხრე კამერები;

- შეძენილ იქნა წყალზე განსახორციელებელი სამძებრო-სამაშველო ღონისძიებების ჩასატარებლად საჭირო მყვინთავის აღჭურვილობა;
- საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა მეხანძრე-მაშველის ზამთრის უნიფორმა და მაღალყელიანი ფეხსაცმელი, ასევე უსაფრთხოების ფეხსაცმელი, მეხანძრის ცეცხლგამძლე და სამაშველო ხელთათმანი, საბრძოლო ფორმა/აღჭურვილობა, სამთო აღჭურვილობა/ტანსაცმელი, საველე აღჭურვილობა, საწვიმარი ლაზადები, ოპერატორების მაისურები, ზამთრის ქუდები, დამცავი სათვალეები, ზედამხედველობის ფორმა-ტანსაცმელი, მეხანძრე-მაშველის ყოველდღიური უნიფორმა და რეზინის ჩექმები;
- ზაფხულის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით საჭირო სამაშველო აღჭურვილობა, ზღვაზე სამაშველო თოკები, ზღვაზე მაშველებისათვის სანაპიროზე სასიარულო ფეხსაცმელი და ფორმები, ასევე სამაშველო ჟილეტი და ჩანთები;
- სასამხურის ახალი შენობებისთვის შეძენილ იქნა საოფისე ავეჯი და შესაბამისი ტექნიკა;
- შესყიდულ იქნა სამაშველო ოპერაციების დროს წყლის ფსკერის დასათვალიერებელი მოწყობილობის "ექოლოტი", საფრენი მოწყობილობა (დრონი) და ხანძრის ქრობის დროს წყალდამცლელი მოწყობილობები (კალათა);
- ოპერატიული მართვის ცენტრის გამართული ფუნქციონირებისათვის შეძენილ და დამონტაჟებულ იქნა შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკა;
- შეძენილ და დამონტაჟებულ იქნა სტაციონალური დიზელ-გენერატორი;
- სამსახურის სამაშველო დანიშნულების ავტომანქანებისთვის შეძენილ იქნა სახურავის საბარგულები და ჯალამბრები;

3.2 განახლებული მცურავი და სამთო-სამაშველო საშუალებების ავტოპარკი:

- ზამთრის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შეძენილია კვადროციკლის მუხლუხობის სისტემა (შალგები);
- ზაფხულის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, აღდგენილია კატარღის დაზიანებული ძრავი;
- კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა სახანძრო-სამაშველო დანიშნულების "MERCEDES-BENZ ZETROS 2733"-ის (ძრავის აღდგენა) და სამაშველო დანიშნულების "MITSUBISHI L200"-ის მარკის ავტომანქანებს, რომლებიც ჩატარებული სამუშაოების შემდეგ ჩადგნენ განწესში;

3.3 გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა

- 2021 წელს დაიწყო და მიმდინარეობს ხულოს სახანძრო-სამაშველო ობიექტის მშენებლობა, რომლის დასრულებაც იგეგმება 2023 წელს;
- 2021 წელს დაიწყო და მიმდინარეობს ქ. კასპის სახანძრო-სამაშველო ობიექტის მშენებლობა, რომლის დასრულებაც იგეგმება 2023 წლის დასაწყისში;
- 2021 წელს დაიწყო და საანგარიშო პერიოდში დასრულდა დაბა ქედის სახანძრო-სამაშველო ობიექტის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები;
- თბილისის სამ დანაყოფში მოეწყო სამორიგეო ჯიხურები;
- ჩატარდა დაბა ბაკურიანში სახანძრო-სამაშველო ავტოფარეხის კარის სამონტაჟო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, ჯავახიშვილის ქ. N106-ში მდებარე სახანძრო-სამაშველო ობიექტში განხორციელდა სველი წერტილის მოწყობის სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში, ასევე, განხორციელდა სამსახურის ზოგიერთ დანაყოფში კომუნალურებზე დაერთებისა და სეპტიკის მოწყობის სამუშაოები;

4. ღონისძიების დასახელება: სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში გაწეული მომსახურებების ხარისხის გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 1318 ხელშეკრულება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული სერვისების გაწევის მიზნით, საიდანაც უკვე შესრულებულია 1243 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებები მოიცავს ისეთი მომსახურების გაწევას როგორცაა: სახანძრო ტექნიკური შემოწმების ჩატარება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება; სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე სპეციალისტის კონსულტაცია; საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის საკითხებზე სპეციალისტის კონსულტაცია; შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება; სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს

მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება; ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდა სათანადო აქტის გაფორმებით; სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება; საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზების სწავლება; შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმის შემუშავება; ცეცხლსაშიში სამუშაოების, მასობრივი, სანახაობრივი, სპორტული ან/და სხვა ღონისძიებების ჩატარების დროს (გარდა უშუალოდ სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული საზოგადოებრივი, პოლიტიკური, საქველმოქმედო ღონისძიებებისა, როდესაც მომსახურება უსასყიდლოდ გაიწვევა), აგრეთვე ფილმის, რეკლამის ან კლიპის გადაღებისას სახანძრო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო ტექნიკით ან/და ეკიპაჟით მომსახურება, სახანძრო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო ავტო ტექნიკის თხოვება. ამასთან, ამ ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული შემოსავლები მეტწილად ხმარდება სამსხურის განვითარებას;

დაწყებულია მუშაობა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს განვითარების ხედვის შესამუშავებლად; მიმდინარეობს მუშაობა სააგენტოს სერვისების განვითარების განყოფილების სტანდარტული სამოქმედო პროცედურების შესაქმნელად.

სააგენტოს მიერ გასაწევი მომსახურების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის (სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მიზნით), სააგენტოს მიერ შემუშავდა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა ახალი სერვისების ჩამონათვალი, შემცირებული მომსახურების ვადებითა და შეცვლილი ტარიფებით;

5. ღონისძიების დასახელება: სახელმწიფო მატერიალური რეზერვების ბაზის განახლება და შევსება

5.1 სახელმწიფო რეზერვების მიმართულებით შემუშავებული ნორმატიული ბაზა:

- შემუშავებულია და შესაბამის უწყებებში შესათანხმებლად გაგზავნილია „საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების ობიექტების, როგორც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტების, აგრეთვე სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სისტემაში დასაგროვებელი მატერიალური ფასეულობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- შემუშავებულია და შესაბამის უწყებებში შესათანხმებლად გაგზავნილია „საქართველოს სახელმწიფო რეზერვის მატერიალურ ფასეულობათა ნომენკლატურის და დაგროვების ოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- შემუშავებულია და შესაბამის უწყებებში შესათანხმებლად გაგზავნილია სახელმწიფო რეზერვების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ხედვის პროექტი);
- მიმდინარეობს სახელმწიფო რეზერვის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხედვისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

5.2 სახელმწიფო რეზერვების ბაზის განახლება/შევსება და მარაგების კონტროლი

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების წარმოების ფარგლებში უიმედო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დადგენილი წესით ბალანსიდან მოხსნისა და ჩამოწერის თაობაზე. დებიტორული დავალიანებების დიდი ნაწილი უკვე ჩამოწერილია და მოხსნილია აღრიცხვიდან;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საპასუხისმგებლო შენახვაზე განთავსებული სახელმწიფო რეზერვების მატერიალური ფასეულობების რაოდენობრივი და თვისობრივი მდგომარეობის საკონტროლო შემოწმება.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ქვეყანაში გაუმჯობესებული სამოქალაქო უსაფრთხოების დონე და მინიჭებული INSARAG-ის კლასიფიკაცია;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში განვითარებული ტექნოლოგიები;

- განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა;
- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში, განვითარებული სახელმწიფო სერვისები;
- შექმნილი სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მარაგები;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- საანგარიშო პერიოდში 69 696 ბუნებრივ, ტექნოგენურ და სხვა საგანგებო სიტუაციაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება;
- ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების დონის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების შემოწმება/კონსულტირება, სამსახურის მოსამსახურეთა სპეციალურ სწავლებები და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული აქტივობები;
- INSARAG-ის კლასიფიკაციის მინიჭების მიზნით, მენტორი ქვეყნის - გერმანიის მიერ განხორციელდა სხვადასხვა ტიპის სწავლებები;
- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შემუშავებული ინციდენტების აღრიცხვისა და ოპერაციების მართვისათვის თანამედროვე სისტემების სამსახურის ყველა დანაყოფისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- შემუშავებული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემა;
- ნაწილობრივ განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- ნაწილობრივ განახლდა წყალზე/სამთო სამაშველო და სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი;
- გაუმჯობესდა სამსახურის ინფრასტრუქტურა;
- ფიზიკურ და იურიდიულ პირებს გაეწიათ ხარისხიანი მომსახურება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში;
- შემუშავებულია სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სისტემაში დასაგროვებელი მატერიალური ფასეულობების ნუსხის, ნომენკლატურისა და დაგროვების ოდენობის განმსაზღვრელი საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტები;
- განხორციელდა სახელმწიფო რეზერვში რიცხული მატერიალური ფასეულობების მოვლა-შენახვა და აღრიცხვა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

- საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, სამსახური ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეულ სხვადასხვა ინციდენტებზე და საგანგებო სიტუაციების დროს ყოველდღიურ რეჟიმში დახმარებას უწევს საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. ასევე ახორციელებს სხვადასხვა სახის (სამთო, წყალქვეშა და სახანძრო-სამაშველო) სამაშველო ოპერაციებს. გაეროს საერთაშორისო საძიებო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის INSARAG-ის კლასიფიკაციის მიღების მიზნით, შექმნილია ურბანული საძიებო სამაშველო ჯგუფი (USAR), რომელსაც მენტორობას უწევს გერმანიის ტექნიკური დახმარების ფედერალური სამსახური (THW);
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შემუშავებულია ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების აღრიცხვისა და სახანძრო-სამაშველო ძალების მართვის ერთიანი ცენტრალიზებული საინფორმაციო სისტემა, თუმცა სერვერულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვერ ხერხდება მისი საოპერაციო გარემოში დანერგვა. ასევე, სამსახურში არ არსებობდა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების ელექტრონული რეესტრი, დოკუმენტაცია იწარმოებოდა მატერიალურად, რაც საკმაოდ მოუქნელს ხდიდა აღნიშნულ სისტემას. აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიმართულების გაძლიერების მიზნით შემუშავდა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის

ელექტრონული სისტემა, რომლის პილოტირება წარმატებით დასრულდა. სისტემა სრულად დანერგულია საოპერაციო გარემოში;

- სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება/შევსება დღეის მდგომარეობით გასახლებელია სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის 50%; დღეის მდგომარეობით სამსახურის სახანძრო-სამაშველო მანქანების 38%-მდე, კერძოდ 251 ერთეული სპეციალური დანიშნულების მანქანა გამოშვებულია 1968 წლიდან 1995 წლამდე, შესაბამისად საჭიროებს ჩანაცვლებას; დღეის მდგომარეობით სამსახურის მცურავი საშუალებების დაახლოებით 28%, კერძოდ 54 ერთეული დაზიანებულია და საჭიროებს ჩანაცვლებას; დღეის მდგომარეობით სახანძრო-სამაშველო ობიექტების 79% საჭიროებს რეაბილიტაციას;
- ყოველდღიურ რეჟიმში შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო შესაბამის მომსახურებას უწევს სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომელნიც უზრუნველყოფილი არიან მაღალი ხარისხის მომსახურებით. მიუხედავად აღნიშნულისა კონკურენციის არსებობის პირობებში აუცილებელია სერვისების სისტემატიური განახლება;
- არ არსებობს სახელმწიფო მატერიალურ რეზერვებში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ნომენკლატურა (არსებული ვადაგასულია), შესაბამისად, სახელმწიფო მატერიალურ რეზერვში ამჟამად განთავსებული მატერიალური ფასეულობებიც არ წარმოადგენს ნომენკლატურის ნაწილს. შემუშავებულია სახელმწიფო მატერიალური რეზერვების განვითარების კონცეფციის პროექტი.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

- ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების დროს რეაგირების ხარისხის გაუმჯობესება; ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების რეაგირების შედეგად იურიდიული და ფიზიკური პირების ქონებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა; საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით, შემოწმებული ობიექტების რაოდენობა - 5 000 ობიექტი; გაეროს საერთაშორისო სამიეზო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის INSARAG-ის კლასიფიკაციის მინიჭება;
- ინციდენტების აღრიცხვისა და ოპერაციების მართვის ელექტრონული სისტემის (eFris) სრულად დანერგვა საოპერაციო გარემოში; სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემის ფუნქციონალის მუდმივი განვითარება/გაუმჯობესება;
- 10%-ით განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; სახანძრო-სამაშველო მანქანა; სხვადასხვა ტიპის 2 მცურავი საშუალება; სახანძრო-სამაშველო ობიექტების დამატებით 1% რეაბილიტირებულია;
- შემუშავებული სერვისების განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხედვები და სამოქმედო გეგმები; არსებული მაჩვენებლების შენარჩუნება;
- სახელმწიფო მატერიალურ რეზერვში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ახალი ნუსხის შემუშავება; გეგმიური და საკონტროლო შემოწმებების ჩატარება სახელმწიფო მატერიალურ რეზერვში რიცხული იმ მატერიალური ფასეულობებისა, რომლებიც ჩაწყობილია სხვადასხვა ორგანიზაციებში და უწყებებში.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

- რეაგირებული ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების რაოდენობა და მათი პრევენციის მიზნით სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები;
- ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებების ელექტრონული სისტემების შექმნა;
- განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა;
- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების განვითარება;
- სახელმწიფო მატერიალური რეზერვების ბაზის განახლება და შევსება.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე.

Covid პანდემიით გამოწვეული კრიზისის გათვალისწინებით, 2022 წელს დაგეგმილი INSARAG საერთაშორისო კლასიფიკაციის მიღების თარიღმა გადაიწია 2024 წლამდე. აღნიშნულ გადაწყვეტილებას, ასევე, საფუძვლად დაედო INSARAG-ის სამდივნოს შეთავაზება დაენიშნა საქართველოსთვის ახალი მენტორი, გერმანიის ტექნიკური დახმარების ფედერალური სააგენტოდან (THW), რომელსაც COVID-ის შემდგომ განახლებული INSARAG სახელმძღვანელოებით (გაიდლაინებით) დაევალა საქართველოსთვის ორწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.